14/09/2019

სამეცნიერო საბჭოს სხდომა

2019 წლის 12 სექტემბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში გაიმართა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სასწავლებლის რექტორი, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა მისაღები გამოცდების შედეგები. აღინიშნა, რომ აბიტურიენტებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სამეცნიერო საბჭოს წევრებს გააცნო გადაწყვეტილება ეკლესიის ისტორიის, კანონიკური სამართლისა და ასკეტიკის კათედრიდან კანონიკური სამართლის ცალკე, დამოუკიდებელ კათედრად გამოყოფის შესახებ. მისი თქმით, კანონიკური სამართლის კათედრის დაარსება ხელს შეუწყობს მომავალში თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ამ დარგის უკეთ განვითარებას. სამეცნიერო საბჭომ მოიწონა აღნიშნული გადაწყვეტილება. სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში თბილი და საქმიანი გარემოა შექმნილი, მაღალ დონეზე იცვება სამეცნიერო დისერტაციები. აღნიშნულ სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წესრიგს, ლექციების დროულად

დაწყებასა და მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებას.

- tsas.ge